ხაშურის მოამბე

№27 (108) 14 ივლისი, პარასკევი, 2017 წელი

ფოლკლორული ფესტივალი სურამში

ღღესასწაული, რომელიც მუდამ ჩვენთან არის

მესამე წელია სურამში, ბაიანთხევის ტყე სახალხო ფესტივალ "არტ-გენს" მასპინძლობს. ფესტივალი 14 წელია საქართველოს სხვადასხვა, ფოლკლორულად საინტერესო კუთხეში იმართება და მიზანს ქართული, ეროვნული ღირებულებების პოპულარიზაცია,ადამიანებთა შორის ურთიერთობის აღდგენა-არდავიწყება წარმოადგენს. 2015 წელს, სურამში, საცდელად ჩატარებულმა ფესტივალმა (როგორც ორგანიზატორებმა აღნიშნეს), იმდენად გაამართლა, რომ მესამე წელია ლოკაცია არ შეცვლილა-ბაიანთხევის ტყე-პარკი ისევ ქართული ხმიანობით გაივსო,ისევ გავცვალეთ ურთიერთობები, ნამდვილიქართული სული დავატრიალეთ. მანამდე კი, მოსამზადებელი პერიოდი იყო-ხაშურის კულტურის, სპორტის სამსახურმა წელსაც, არნახული შრომა ჩადო ორგანიზებაში. დილიდანვე ორგანიზატორთა და მონაწილეთა ფუსფუსი იყო. ყველა კუთხეში გაშლილი იყო რეწვის ნიმუშები-თექის და სხვა ხელნაკეთი ნივთები, სამკაულები, ხეზე ნაკეთობები. გაიმართა სპორტული შეჯიბრებები. წარმოდგენილი იყო სტენდი ხაშურში გავრცელებული ღვინოები სხვადასხვა მარნებიდან, რომლის დეგუსტაცია და შეფასებაც შეეძლო ფესტივალზე მისულ დამთვალიერებელს.

კონცერტი საღამოს 6 საათისთვის დაიწყო. წარმოდგენილნი იყვნენ ადგილობრივი თვითშემოქმედი ჯგუფები, ინდივიდუალური შემსრულებლები: ანსამბლები "ციცინათელა", "ოქროს ფარი", "სურამი", "ცხრამუხა", "დაისი", ბავშვთა ფოლკლორული გუნდი "ქართლი". ფესტივალს წელსაც სტუმრობდნენ "შავფაროსნები", რომლებმაც ჩვეული, ქართული ცეცხლითა და ჟინით აჩვენეს ქართული საბრძოლო ხელოვნების სიდიადე. წელს, პირველად, მონაწილეობას იღებდა ნაკლებად პოპულარული ჯგუფი "Asea sool", რომელმაც მსმენეთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა. კონცერტის დასკვნითი აკორდი ჯგუფმა "რეგიონმა" აიღო.

მიუხედავად იმისა, რომ წელს ფესტივალი უჩვეულოდ, ორშაბათ დღეს გაიმართა, დიდი ხალხმრავლობით გამოირჩეოდა. სტუმრების ამპლუაში იმყოფებოდნენ შიდა ქართლი გუბერნატორი კახა სამხარაძე, გუბერნატორის მოადგილე იოსებ ოქრომელიძე, რომელთაც მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი მასპინძლობდა.

კახა სამხარაძე (შიდა ქართლის გუბერნატორი):

–სასიამოვნოა,როდესაც ამდენ გაღიმებულ სახეს ხედავ. ორგანიზატორებმა მართლაც შესანიშნავი ადგილი შეარჩიეს ამ ფესტივალისათვის. ეს ფიჭვნარი ძალიან ალამაზებს ამ ფესტივალს და ერთობლიობაში ბრწყინვალე დღესასწაული გამოვიდა. მადლობა მასპინძლობისათვის და თქვენც და სრულიად ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ვულოცავ ამ ლამაზ დღეს!

გიორგი გურასპაშვილი (მუნიციპალიტეტის გამგებელი):

–ასეთი ხალხმრავლობა თავისთავად ნიშნავს, რომ ფესტივალი შედგა. ამ დღის მომზადებაში დიდი შრომა ჩადეს კულტურისა და სპორტის სამსახურმა და მადლობა ამ სამსახურის მუშაკებს. თუ ამ მასშტაბის ღონისძიების ორგანიზებაში პირველ წელს გამოუცდელები ვიყავით და ალბათ რაღაც დავაკელით კიდეც, წელს, თვითონაც ხედავთ, რომ ორგანიზებას ვერაფერს დავუწუნებთ. ბევრს ნიშნავს ჩვენთვის, რომ ადგილობრივების გარდა, ასეულობით ტურისტს თუ სტუმარს ვხედავთ, რომლებისთვისაც ეს ნამდვილი დღესასწაულია და სიამოვნებით მოდიან ამ დღეს სურამში.

თორნიკე ფსუტური (ორგანიზატორი ფოლკლორის კუთხით):

(დასასრული VI გვერდზე)

სტიქიით გამოწვეული ზარალის სალიკვიდაციო სამუშაოები დაიწყო

10 ივნისის სტიქიამ სერიოზული ზარალი მიეყენა ხაშურის მუნიციპალიტეტსა და მის რამდენიმე სოფელს. გადაუღებელმა და ძლიერმა წვიმებმა მდინარეების ადიდება გამოიწვია, რომელმაც შედაგად დატბორილი ქუჩები, სახლები, ბაღ-ვენახები, განადგურებული ნათესები და დაზიანებული ინფრასტრუქტურა მოგვიტანა. სტიქიის შედეგად მიღებული ზარალის ასანაზღაურებლად ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა ამ დრომდე აქტიურად მუშაობს. სტიქიის პირველივე დღეებში, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, მოსახლეობასთან ერთად, შეძლებისდაგვარად, ცდილობდნენ სტიქიის შედეგად მოტანილი ნარჩენებისაგან და ლამისაგან გაეწმინდათ ქუჩები და ადგილობრივების სახლები, სრულად მობილიზდა მუნიციპალიტეტის ტექნიკაც. დაიწყო ზარალის დათვლა, რომელმაც მილიონ ლარს მიაღწია. სტიქიის მომდევნო დღეებში ხაშურში იმყოფებოდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალავიძე, რომელმაც სტიქიის ეპიცენტრები მოინახულა და სახელმწიფოს მხრიდან დახმარება აღუთქვა ჩვენს მუნიციპალიტეტს. ზუსტი ინფორმაციის მისაღებად, თუ როგორ მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები სტიქიის ეპიცენტრებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს გიორგი გურასპაშვილს ვესაუბრეთ:

– 10 ივნისს მომხდარი სტიქიის შემდეგ, მუნიციპალიტეტის გამგეობა საგანგებო რეჟიმში მუშაობდა, რათა დროულად ჩატარებულიყო ზარალის სალიკვიდაციო სამუშაოები, სტიქიის ძირითადი ეპიცენტრი გახლდათ სურამში რუსთაველის ქუჩა, რომელიც ფაქტობრივად, მდინარის კალპოტად იქცა, აგრეთვე ბაიანთხევის (26 მაისის ქ.) მიმდებარე ტერიტორია, ქვიშხეთი, ტაშისკარი, სატივე, თუმცა ბოლო ორ სოფელში სტიქია მკვეთრად არ იგრძნობოდა. დაზიანდა ინფრასტრუქტურა, ზარალი მიადგა მოსახლეობას, დაიტბორა მათი საცხოვრებელი სახლები, სავარგულები, ეზოები. პირველივე დღეებში მოხდა ინფრასტრუქტურული ზარალის დათვლა, რომელმაც 900 000 ათას ლარს გადააჭარბა, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან სწრაფადვე გამოინახა ფინანსური სახსრები და აღნიშნული თანხა ხაშურის მუნიციპალიტეტს გადმოერიცხა. ამჟამად ტენდერები ჩატარებულია, გამოვლინდნენ გამარჯვებულებიც. უახლოეს პერიოდში დაიწყება დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა და გაიწმინდება მდინარის კალაპოტები, გამაგრდება დამცავი ჯებირები, იმ ადგილებში, რომელიც საფრთხის შემცველია. უფრო კონკრეტულად, გვერდისუბნისა და ბაიანთხევის სერების წყალშემკრებ ღელეზე ჩატარდება ნაპირსამაგრითი სამუშაოები, დაზიანებული ასფალტის საფარი აღდგება რუსთაველის ქუჩასა და მიმდებარე ჩიხში, აღდგება დაზიანებული ტროტუარებიც, ქვიშხეთში მოხდება ორი ხიდის ე.წ. გომარელების და პავლაძეების დაზიანებული ჯებირების აღდგენა-გამაგრება და ხაშურის მუნიციპალიტეტში ორ კორპუსს, რომელსაც სახურავიც დაუზიანდა, ისიც გადაიხურება. აქვე აღვნიშნავ, რომ სტიქიის პირველივე დღეებში ადგილობრივი ძალებით გავწმინდეთ როგორც რელიეფი, აგრეთვე სანიაღვრე არხები წყლის მოტანილი ნარჩენებით, ერთი დღეც არ გაჩერებულა მუნიციპალიტეტი და თავდაუზოგავად შრომობდა სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის აღმოსფხვრელად. მობილიზებული იყო ტექნიკა, რათა დროულად აღმდგარიყო მოძრაობა გზებზე. რაც შეეხება მოსახლეობას, შემოსულია 140-ზე მეტი განცხადება, ზარალის დამთვლელი კომისიის მიერ ხდება იმ ოჯახების ზარალის დათვლა, რომლებსაც 10 ივნისის სტიქია დაატყდათ თავს, გონივრულ ვადაში კი მუნიციპალიტეტი მიიღებს კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას, რათა მათ დახმარება აღმოვუჩინოთ.

თ. ახალკაცი

ხანძარი რომ თავიდან ავიცილოთ

საქართველოში თავთავიანი და სხვა კულტურების მოსავლის აღების, გადამუშავებისა და შენახვის პერიოდში მომხდარი ხანძრების შესწავლა და გამოკვლევა ცხადყოფს, რომ ხანძრების უმეტესობა განპირობებულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების უხეში დარვევების გამო.

თავთავიანი და სხვა კულტურების მოსავლის აღებისას გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს, პირველ რიგში, ფერმერების მიერ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების ზედმიწევნით შესრულების უზრუნველყოფა, მოსავლის ასაღები ტექნიკის მწყობრში მოყვანასთან ერთად.

როგორც წინა წლებში მოსავლის აღების პერიოდში მომხდარი ხანძრების ანალიზი გვიჩვენებს, მათი პრევენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს მიზანმიმართული ხანძარსაწინააღმდეგო კამპანიის ორგანიზება, რომლის განხორციელებაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სააგენტოს ტერიტორიულმა დანაყოფებმა.

ასევე, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების მიერ მოსავლის აღების პერიოდში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს აღებული მოსავლის (მარცვლეულის) შესანახი და გადამამუშავებელი (წისქვილკომბინატების, ელევატორების) საწარმოებში სახანძრო უსაფრთხოების

უზრუნველყოფის საკითხებზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2017 წლის ზაფხულის ხანძარსაშიშ სეზონში, თავთავიანი და სხვა კულტურების მოსავლის აღების, გადამუშავებისა და შენახვის პერიოდში, ხანძრების გაჩენის შესაძლებლობის თავიდან აცილებისა და მათი წარმატებით ჩაქრობისათვის პირობების შესაქმნელად

გთავაზობთ:

1. ხანძარსაწინააღმდეგო კამპანიის ორგანიზებისას გამოყენებული იქნეს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №371 დადგენილების „საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ XVII თავის მოთხოვნები ხანძარსაწინააღმდეგო კამპანიის განხორციელების შესაბამის ფორმებთან დაკავშირებით.

2. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ტერიტორიულმა ორგანოებმა უზრუნველყონ მარცვლეულის შესანახი და გადამამუშავებელი (წისქვილკომბინატების, ელევატორების) საწარმოების სახანძრო-ტექნიკური შემოწმებების განხორციელება და გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე საწარმოს ხელმძღვანელების ინფორმირება დადგენილი წესის შესაბამისად.

3. ფერმერებისათვის მოსავლის აღების სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლების პროცესში ხანძრის გაჩენის შესაძლებლობის თავიდან აცილებისა და მათი წარმატებით ჩაქრობისათვის პირობების შესაქმნელად გათვალისწინებული იქნეს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილების „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ 28-ე მუხლის მოთხოვნები, ეს მოთხოვნებია:

ა) მარცვლეულის აღება უნდა დაიწყოს თავთავიანი კულტურების მინდვრების არაუმეტეს 50 ჰა ფართობის ნაკვეთებად დანაწილებით და მათ შორის არანაკლებ 8 მ. სიგანის ლესურების მოწყობით. ლესურებიდან მოთიბული თავთავიანი კულტურები დაუყოვნებლივ უნდა იყოს აღებული. ლესურებს შორის მოწყობილი უნდა იყოს არანაკლებ 4 მ. სიგანის ხნული.

ბ). 25 ჰა-ზე მეტი ფართობის პურის მასივებიდან მოსავლის აღებისას მუდმივ მზადყოფნაში უნდა იყოს ტრაქტორი და გუთანი ხანძრის გაჩენის შემთხვევაში წვის ზონის შემოხვნისათვის.

გ). აგრეგატები და ავტომობილები, რომლებიც გამოიყენება მოსავლის აღების დროს, უნდა აღიჭურვოს ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით (ყველა ტიპის კომბაინი და ტრაქტორიორი ცეცხლმაქრით, ორი ხიშტა ნიჩბით), გამართული ნაპერწკალჩამქრობებით და კვების, ანთების, საზეთი სისტემებით.

დ). მარცვლოვანი კულტურების დამწიფებამდე პურის ყანები ტყისა და ტორფის მასივებთან, საველე ზოლებთან, საავტომობილო და სარკინიგზო გზებთან მომიჯნავე ადგილებში უნდა შემოითიბოს და შემოიხნას არანაკლებ 4 მ. სიგანის ზოლით.

ე). დროებითი საველე ბანაკები უნდა იყოს დაშორებული პურის მასივებიდან, კალოებიდან არანაკლებ 100 მ. ხანძარსაწინააღმდეგო მანძილით.

ვ). დაუშვებელია მინდორში ნამკალის, ნაწვერალი ნარჩენის დაწვა და კოცონების დანთება.

მარცვლეულის აღების პერიოდში აკრძალულია:

ა) ლესურებზე მოთიბული თავთავიანი კულტურების დატოვება;

ბ). მოსავლის ამღები აგრეგატების და ავტომობილების მუშაობა ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების გარეშე;

გ) საველე ბანაკების განლაგება პურის მასივებიდან, კალოებიდან 100 მ-ზე ნაკლებ მანძილზე, ნაწვერალი ნარჩენების დაწვა და კოცონის დანთება.

კახა ცერცვაძე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ-საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა და საქართველოში ლიტვის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გიედრიუს პუოჯუნასმა, მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ლიტვის საელჩოს წარმომადგენლებთან ერთად, სამუშაო შეხვედრა გამართეს. შეხვედრას ესწრებოდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე.

სამუშაო შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ხაშურში, ყოფილი აგურის ქარხნის ტერიტორიაზე დაგეგმილი ახალი რეკრეაციული ზონის მოწყობის დეტალები, რომელიც ლიტვის საელჩოს ინიციატივით და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის აქტიური მხარდაჭერით შეიქმნება. შეხვედრის ბოლოს, მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა და ლიტვური მხარის წარმომადგენელმა არქიტექტორმა რიტის ციკანავიჩუსმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

ახალი რეკრეაციული ზონის მოწყობა ხაშურში ორი ქვეყნის - ლიტვისა და საქართველოს დამოუკიდებლობის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად არის დაგეგმილი.

ავტობანის აგარა-ზემო ოსიაურის მონაკვეთის მშენებლობა ივლისის ბოლოს დასრულდება

ჩქაროსნული ავტომაგისტრალის შემადგენელი, აგარა-ზემო ოსიაურის 12 კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა ივლისის ბოლოს დასრულდება.

7 კმ-იან მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა 2016 წლის ივნისში გაიხსნა, დარჩენილ 5 კილომეტრზე კი სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. სამუშაოებზე დასაქმებულია 500-მდე ადამიანი.

პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია 4 ზოლიანი ცემენტ-ბეტონის საფარიანი გზის, 8 ხიდის, მათ შორის 2 სატრანსპორტო კვანძის, წყალგამტარი მილებისა და მიწისქვეშა გადასასვლელების მშენებლობა. ასევე, გზის 3,8 კმ-იანი მონაკვეთის გასწვრივ, მიმდინარეობს ნაპირდაცვითი ნაგებობის მოწყობა.

2012 წლის ოქტომბრიდან ჩქაროსნულ მაგისტრალზე მოძრაობა გაიხსნა 107 კმ გზაზე, ჩქაროსნულ მაგისტრალზე აშენდა 124 კმ გზა.

ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები შიდა ქართლშიც დაინერგება

კავკასიის გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) წარმომადგენლებმა შიდა ქართლში პირველი სამუშაო შეხვედრა ჩაატარეს. ორგანიზაცია აქამდე პროექტს „ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში“ აჭარისა და კახეთში ახორციელებდა, ამიერიდან კი საქმიანობას შიდა ქართლში გააგრძელებს. შეხვედრას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე ეკატერინე გრიგალავა, შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის აპატარის უფროსი, ნათია ანთელავა და

შიდა ქართლის მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ორგანიზატორებმა შეკრებილებს პროგრამის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობას ნარჩენების მართვის სექტორის მოდერნიზების, მდგრადი განვითარებისა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ბუნებრივი რესურსების პასუხისმგებლიანი მართვის პრინციპების გამოყენებით, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ნარჩენების მავნე ზემოქმედების შემცირებას ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე. პროექტის შედეგად, 2017 წლის ბოლომდე, თითოეულმა მუნიციპალიტეტმა უნდა მიიღოს მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიანი გეგმა. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა უნდა შეესაბამებოდეს 2016 წლის 1 აპრილის საქართველოს მთავრობის №160 დადგენილებით დამტკიცებულ „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნულ სტრატეგიასა“ და „ნარჩენების მართვის 2016-2020 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმას“.

სავაგონო დეპოს პროფკავშირის თავმჯდომარე საიუბილეო დიპლომით დაჯილდოვდა

”პროფკავშირების საერთო კონფედერაციის”(GENERAL COFEDERATION OF TRADE UNIONS”) 25 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის გამგეობის სხდომაზე, პროფკავშირული მოძრაობის ერთიანობისა და სოლიდარობის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის, საიუბილეო დიპლომით, დაჯილდოვდა--ხაშურის სავაგონო დეპოს პროფკავშირების თავმჯდომარე **გოჩა ხაჭაპურიძე.**

საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის აქტიური მუშაობა საუკუნეზე მეტს ითვლის. კავშირი მუდმივ მზადყოფნაშია მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს თითოეულ რკინიგზელსა და მათ ოჯახებს, ცდილობს ის უდიდესი ღვაწლი დაუფასოს მათ, რომელიც საქართველოში ერთერთი მძლავრი სფეროს – საქართველოს რკინიგზის განვითარებაში გასწიეს. ამასთან, წლებია რკინიგზელთა პროფკავშირი აქტიურად მუშაობს სამი მიმართულებით, პირველი განათლების პროექტია, რომელიც ეხმარება რკინიგზელთა შვილებს და უშუალოდ თანამშრომლებს, ასევე შეღავათები ჯანდაცვაში – 50%- იანი სოციალური პაკეტი და მესამე მიმართულება შრომის პირობების გაუმჯობესება.

ყოველივე ამ შეღავათების გათვალისწინებით, პროგრესი ნამდვილად იგრძნობა, პრობლემების მაქსიმალურად აღმოფხვრის შედეგად, მნიშვნელოვნად უმჯობესდება რიკინგზელთა ყოველდღიური ცხოვრებისა და სამსახურში შრომის პირობები.

„ხაშურის მოამბე” ულოცავს ბატონ გოჩას და პროფესიულ წინსვლას უსურვებს.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ვეტერანები - მუდმივი მზრუნველობის ქვეშ

ამ დღეებში, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის შიდა ქართლის რეგიონულმა სამმართველოს წარმომადგენელმა ზვიად საბაშვილმა, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ზურაბ ჩხიტუნიძესთან და მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრამუხაში მცხოვრები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის მონაწილე, ვეტერანი ნუგზარ ლაცაბიძე მოინახულა. მრავალშვილიან ვეტერანს მედიკანენტების ვაუჩერი და ჰუმანიტარული დახმარება გადაეცა.

მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი

დიმიტრი ყიფიანის საგვარეულო შტოს ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია მიხეილ ზალის ძე ყიფიანი. (მისი მამა დიმიტრი ყიფიანის ბიძაშვილი იყო)

გარდაცვლილ მიხეილ ყიფიანის ნეკროლოგში ილია ჭავჭავაძე წერდა:

„ბევრმა არ იცის, რა კაცი იყო განსვენებული, რა ღვაწლი და სამსახური მიუძღვის ჩვენი ქვეყნის წინაშე, არც ჩვენ ჩამოვთვლით ყოველ მას, რაც სოცოცხლეში მას ასულდგმულებდა. მან იგი სიკეთე ჰქმნა, რის შემძლეც იყო და „ყველა კაცმა“, რომ იგი სიკეთე ჰქმნას, რის შემძლეც არის, ქვეყნიერებაზე უბედურნი აღარ იქნებიან“.

სიყვარული ჩვენი ქვეყნისა, ჩვენი ერისა, მისთვის ცარიელი სიტყვა კი არ იყო, როგორც დღეს ბევრისათვის არის, არამედ იგი იყო დაუღალავი ღონე, გარჯისა და მხნეობისა.



იგი საქმობდა, ირჯებოდა, მხნეობდა თავის პატარა ქვეყნისათვის და არა ჰყვიროდა-კი იგი ნიაღვარს-კი არა ჰგავდა „მღელვარეს კლდესა მცემელსა“, იგი მდუმარე წვიმისებრი ნაყოფის გამომცემელი“ იყო.

მშვიდობით! ყველანი სტირიან დღეს, რადგანაც მამულს მამულიშვილობა გაუწიე და შენი ვალი შეასრულე.

ასევე საინტერესოა ნიკოლოზ ყიფიანის მოგონება მიხეილ ზაალის ძე ყიფიანზე:

„სასწავლებელი რომ დაასრულა, რაკი მამაჩემი იცნობდა და იცოდა რა სამაგალითო კაცი იყო, მიხაკო მოიწვია ჩემს მასწავლებლად.

მანამდე მასწავლებლად მყავდნენ ფრანცუზები: იმათ ხელში ვერ ვსწავლობდი კარგად, უფრო ვცელქობდი: ვგიჟობდი და მასხრად ვიგდებდი ჩემს მასწავლებლებს.

მამაჩემმა შემატყო ეს, და დაითხოვა ის ფარნცუზები და ჩააბარა ჩემი სწავლება თავის ბიძაშვილს, მიხაკოს. მიხაკო იქნებოდა მაშინ ერთი ოციოდე წლის ყმაწვილი კაცი.

დამიწყო პირველად ფიზიკური გეოგრაფიის სწავლება.ისე საინტერესოდ მიყვებოდა ყველაფერს, თვალები დავაჭყიტე და საათნახევარი ისე გავიდა, ვერ შევიტყვე.

შემდგომში მახსოვს, როდესაც შევიტყობდი, რომ მიხაკო მოვიდა ჩვენთან, მაშინვე გავექანებოდი მამაჩემის კაბინეტში, მივუჯდებოდი გვერდით მამაჩემს და ვუგდებდი ყურსა იმისა და მიხაკოს მუსაიფსა.

პეტერბურგიდან დაბრუნებულმა, მიხაკოს რჩევით, გავმართე ქვიშხეთში (1869 წ.) სახალხო სასწავლებელი და სრული ერთი წელი ვასწავლიდი ერთ ოციოდე ბავშვს ქართულსა წერა-კითხვასა, არითმეტიკასა და სხვა.

როდესაც ადვოკატობა დავიწყე, ხშირად მიხაკოსთან მივრბოდი და რჩევას ვეკითხებოდი.

მშრომელი იყო საკვირველი.

ბევრს შრომობდა ქართული მწიგნობრობისათვის და ქართული სასწავლებლისათვის. ყმაწვილობაში შეადგინა მშვენივრად შემუშავებული არითმეტიკა, წერდა ქართულ ჟურნალებისათვის.

იყო ერთი უკეთესთაგანი შვილი საქართველოსი, ერთი უკეთესთა განი მშრომელი და ყველგან უყვარდათ ეს სიკეთის და სინათლის მთესველი.

მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი 20 წელიწადზე მეტს მსახურობდა თერგის ოლქში გამმიჯვნელ სამმართველოს უფროსად, აქ ვერ შეხვდებით ისეთ ადამიანს, ოჯახს, სადაც მიხეილ ყიფიანს მოწიწებით და ღრმა პატივისცემით არ მოიხსენიებდნენ, რადგან იმდენი სიკეთე მიუძღვის, ხალხის კეთილდღეობისათვსის ზრუნვაში, ეროვნულობისა და სარწმუნოების განურჩევლად, რომ დაიმსახურა უანგარო სიყვარული და სოცოცხლეში არცერთხელ უღალატია ამ მიმართულებისათვის, წერდა ლუარსაბ ბოცვაძე.

ასევე ორიოდ სიტყვით ვიტყვი, თუ რა ამაგი მიუძღვის განსვენებულ მიხეილ ზალის ძე ყიფიანს კავკაზში ქართველთათვის სკოლის დაარსების საქმეში. ამის შესახებ მიხეილ ზაალის ძე ერთ კერძო წერილში წერდა ილია ჭავჭავაძეს და წუხდა იმ 200-ოდე ქართულ ოჯახზე, რომელიც იქ ცხოვრობდა. აღნიშნული საკითხი ილიას დახმარებით სამ-ოთხ თვეში მოგვარდა და სასწავლებელი გაიმართა.

მიხეილ ზალის ძე იყო დიდი პატრიოტი და მოამაგე, რომელიც დაუღალავად ემსახურებოდა სამშობლოს. 1863 წელს ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა მისი წერილები, თარგმნა ლერმონტოვის მოთხრობა „ჩვენი დროის გმირი“ და ბელინსკის ზოგიერთი წერილები. 1865-66 წწ. თარგმნა და დაბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ ტრაგედია შექსპირისა „იულიუს ცეზარი“

1870 წლიდან მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი ზრუნავს სამათემატიკო სახელმძღვანელოების შედგენაზე. 1886 წელს შეადგინა ქართული რუკა ბალკანეთის ნახევარკუნძული და შესწირა გაზეთ „ივერიას“ ხელისმომწერთათვის დასარიგებლად. 1877 წელს ქართულად დაიბეჭდა გეომეტრიის პირველი ნაწილი, პლანიმეტრია და მზად ჰქონდა უკვე დასაბეჭდად, მეორე ნაწილი გეომეტრიისა, გეოდეზია, ტრიგონომეტრიით.

1886 წლიდან იბეჭდება მისი წერილები „თათეოზთან გაბაასება“, რომელიც ეხება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებს.

ერთი წლით ადრე ვაჭრობისა და მრეწველობის გასაძლიერებლად, მან განიზრახა თბილისში დაეარსებინა ქართველთა სააქციონერო სავაჭრო საზოგადოება, წესდების პროექტი გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“.

ბევრი კეთილი საქმე ჰქონდა ჩაფიქრებული თავის ქვეყნის სასარგებლოდ, მაგრამ სიკვდილმა არ დააცალა ამიტომ იყო რომ წერდნენ:

სიკვდილმა სწორედ იმ დროს გამოგვაცალა ხელიდან ის დაუღალავი მუშაკი, როცა განსვენებული დიდი გულმოდგინებით და სიხალისით ზრუნავდა საზოგადო საქმინობისათვის.

მუდმივმა ჯაფამ და შრომამ გასტეხა ბოლოს მისი ჯანი და, ჩვენდა საუბედუროდ, სამუდამოდ შეწყვიტა ცემა მისმა ყველასათვის სიბრალულით გამსჭვალულმა გულმა.

მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი გარდაცვალების ცნობა დაიბეჭდა პრესაში. ელდასავით მოედო მაშინვე მთელ კავკასს ეს სამწუხარო ამბავი. პანაშვიდზე ბევრი ცრემლს ვედარ იკავებდა და გულამომჯდარი ტიროდა. მცირე პანაშვიდის მერე, მიცვალებული წაასვენეს კავკასის საკრებულოს ტაძარში.

მიცვალებულის შესახებ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა მასთან ერთად სამსახურში მყოფმა ბატონმა მალიავკინმა, ილაპარაკა მის დამსახურებაზე, თუ რაოდენ სარგებლობა მოუტანა თავის შრომით გამიჯვნის საქმეს თერგის მხარეში. ამას გარდა, ემსახურებოდა საზოგადოებასა და მეცნიერებას. დიდ ნეტარებად მიაჩნდა განსვენებულს სხვისთვის შეწუხებულიყო, სხვას დახმარებოდა. კაცი, რომელიც არავისათვის არავითარი ბოროტება კი არა მცირე უსიამოვნებაც კი არ მიუყენებია. კაცი რომელსაც უდიდესი პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული მთელი იმ მხარეში, აი, ასეთი კაცი დავკარგეთ დიდად პატივცემული, ხელმძღვანელი და მოძღვარი.

ბატონ მალაივკინის შემდეგ, ლექსი წარმოთქვა ქართულად კავკასის ქართული სკოლის მასწავლებელმა ივ. ბედელაძემ. მის შემდეგ დიდი გრძნობით წარმოთქვა ლექსი ჯერ ოსურად და შემდეგ რუსულად ბატონმა კოსტა ხეთაგურმა. დამსწრე ოსნი, ამ ლექსის წარმოთქმის დროს, სმენად გადაიქცნენ, ლექსმა ისე ძლიერ იმოქმედა, რომ მათ შორის თვით გულმაგრებმაც კი ვერ შეიკავეს ცრემლი.

8 მარტს ვლადიკავკასიდან მიცვალებულის გვამი სოფ. სტეფანწმინდის (ყაზბეგი) მიმართულებით გამოატარეს, რომელსაც სამი ეტლით მოაცილებდნენ ნათესავნი და ნაცნობნი. სიჩქარის გამო, მიცვალებული ეკლესიაში არ შეუსვენებიათ, ამიტომ სადგურის წინ გადაუხდით პანაშვიდი ადგილობრივ მღვდელს. შემდეგ შეკრებილ ხალხს ცრემლით გამოუცილებიათ. განსვენებული ცდილობდა თურმე ამ ზაფხულისათვის სტეფანწმინდაში სკოლა დაეარსებინა.

პრესა იუწყებოდა, რომ ცხინვალიდან გვწერდნენ, კვირას, 10 მარტს გადახდილი იქნა იქ პანაშვიდი, განსვენებული მიხეილ ზაალის ძე ყიფიანის სულის მოსახსენებლად.

იმდროინდელი პრესა იუწყება რომ გუშინწინ, 10 მარტს, დაასაფლავეს დიდუბის ეკლესიის გალავანში განსვენებული მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი. მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად უსამღვდელოესობა ალექსანდრე. საფლავზე სიტყვა წარმოთქვა ბატონმა კ.დ. ძე ყიფიანმა.

„შენ მზრუნველობას აწვდიდი იმ ჩვენს სხვადასხვა მოძმეთა, რომელიც გარს ახვევია ჩვენს დიდ კავკასიონის მთებსა, შენ გვიჩვენე, რომ ქართველ კაცს შეუძლია მოძმეობა გაუწიოს ჩვენ მეზობელ ხალხებსაც გვარტომობის და სარწმუნოების განურჩევლად. შენს გვამზე შეერთდა იმ კაცთა ცრემლი, ძაუგში, რომელიც შენს სამშობლოში შეუერთდა ჩვენს ცრემლსა.

შენს ცხედარზე შეერთდა ცრემლი მთის იქეთელთა და მთის აქეთელთა. შენმა სულმა შეგვაერთა დღეს მგლოვიარენი. ესეც კი კმარობდა მადლობით აღვსილს მეგობართა გულში საუკუნოდ დაშთეს სახსენებელი შენი. მშვიდობით!

დასასრულს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიხეილ ზაალის ძე ყიფიანის სახით გვყავდა დიდი ქართველი პატრიოტი და მამულიშვილი, რომლის მოღვაწეობა და ისტორია საამაყოა თვითოეული ქართველისათვის და ვალდებული ვართ, ვიცნობდეთ მივიწყებულ ისტორიას, რომელიც ასევე ნიშანდობლივია დღევანდელ საქართველოში.

გივი გელაშვილი

- გამოხმაურება -

„...ხამს ლახვრითა დასაჭრელად.''

ღალატი სხვდასხვანაირია: ცოლქმრული ღალატი, შეყვარებულის, მეგობრის, ახლობლის... რაც რა თქმა უნდა, სამარცხვინოა. მაგრამ ღალატი სამშობლოს მიმართ-მიუტევებელია. მისი პატიება არ შეიძლება. დაახლოებით ასე სვამს საკითხს ბატონი რეზო გრიგალაშვილი „ხაშურის მოამბეში" 24 მაისს გამოქვეყნებულ ძალიან საინტერესო წერილში „გმირი ხალხის ლაჩარი შვილები."

ღალატი არაბული სიტყვა ყოფილა – შეცდომასა და სიყალბეს ნიშნავს. დროთა განმავლობაში, მან, როგორც ჩანს, დღევანდელი მნიშვნელობა შეიძინა სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით კი, ღალატი „მუხთლად მოკვლაა." თუმც, ჩვენს დიდებულ ისტორიკოსს ივანე ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ „მარტო მოკვლას არ ნიშნავს, მუხთლობას კი, ყოველთვის შეიცავდა."

„ქართლის ცხოვრებაში" უამრავი მაგალითები გვხვდება ორგულობისა და ღალატისა, რისთვისაც სხვადასხვა სასჯელი იყო დაწესებული: სიკვდილით დასჯა, ექსორია, განპატიუება და სხვა. „განპატიუება" სიტყვა პატიუიდან არის წარმომდგარი. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, სასჯელს ნიშნავს, საბას მიხედვით „უპატიურად და შეჭირვებით" პყრობას. „ვეფხისტყაოსანში" კი ტანჯვა-წამებას.

„გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფემ თავის შვილი განდგომისათვის „გააპატიუა ბოროტად. პირველად თუალნი დასწუნეს და მერმე გამოყუესიეს" – დაასაჭურისეს.

ასე დასაჯა დემნა უფლისწული გიორგი III, თამარ მეფის მამამ.

ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საბჭოთა კავშირში, სამშობლოს მოღალატეებს სიკვდილით სჯიდნენ.

ახლა, ერთი წუთით გადავიხედოთ ჩვენზე უფრო პატარა სახელმწიფო ისრაელისაკენ. მტრულ გარემოცვაში მყოფ ებრაელთა ქვეყნის რომელიმე პოლიტიკოსს აზრად მოუვა სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან, თავის დახსნის საშუალება მოიგონოს, ისე, როგორც ჩვენმა უბადრუკმა პოლიტიკანებმა მოიფიქრეს? იქ ხომ, ქალებიც გადიან სამხედრო სამსახურს და უმაღლეს პილოტაჟს უჩვენებენ. მშურს მათი, ჩვენ კი, ნაკლები საფრთხე გვემუქრება? 20 პროცენტის ტერიტორიადაკარგული ქვეყნის შვილი, იმის მაგივრად, რომ იმ მიწების დაბრუნებაზე იფიქროს, ავადმყოფ გონებას იმაზე ავარჯიშებს, როგორ გაათავისუფლოს ახალგაზრდები, რელიგიური სექტის შექმნით, სამხედრო სამსახურიდან, უბიძგებს ღალატისა და ლაჩრობისაკენ. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, გამოჩნდებიან ხელმოცარული პარტიის მიმდევრები, სიტუაციით ისარგებლებენ და ვიღაც ბრიყვის მიერ შეთითხნილ სექტაში შეჰყოფენ მშიშარა თავს.

ბრიყვი, ვიხმარე იმ პარტიის მესვეურთა მიმართ, და ზედმიწევნით მიესადაგება ეს სიტყვა. არაფერი არ არის იმაზე ცუდი, საქმე ჰქონდეს ბრიყვთან. ერთადერთი საშუალება მისი თოკით დაბმაა. სხვა ყველა მეთოდი, მათ წანაღმდეგ უსარგებლოა.

შოთა რუსთაველი მშიშარა და ლაჩარ კაცს, ქსლის მქსოველ დიაცს ადარებს: „კაცი ჯაბანი, რითა სჯობს, დიაცსა, ქსლისა მბეჭველსა?"

ანდა გავიხსენოთ ვაჟას „ბახტრიონიდან" რას ამბობენ მოღალატის შესახებ მეომრები:

,,წოწოლამ ლაფით გაგვთხიფა,
გაგქვექცა სირბილიანი,
ნეტარ სად დაიმალება
სიცოცხლით სიკვდილიანი."

ნუთუ ფიქრობენ, რომ ასეთი იაფასიანი „ტრიუკებით" მოვიხიბლებით და მათ პოლიტიკურ წარმონაქმნს, იმთავითვე მკვდრადშობილ პარტიას სიხარულით მივცემთ ხმას? არ მოგიკვდეთ ჩემი თავი!

აღარ გავაგრძელებ. ბატონ რეზო გრიგალაშვილს მთლიანად ვეთანხმები ამ საცოდავ პოლიტიკანების შეფასებაში და რუსთაველის სიტყვებით დავამთავრებ:

„კაცი ცრუ და მოღალატე, ხამს ლახვრითა დასაჭრელად."

კლიმენტი სუთიაშვილი

- ალოობა -

ერთ კვირაში მოსავლის აღება დაიწყება

სოფლის მეურნეობაში ივლისის თვე უმნიშვნელოვანესი ეტაპია - იწყება ალოობა, რაც, ერთგვარად, მთელი წლის ნაშრომის შემაჯამებელი პერიოდია. აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, კი კახეთის რეგიონებში, უკვე დაიწყო ეს პროცესი. რა ხდება ჩვენთან? როდის დაიწყება ალოობა? როგორია წინასწარი პროგნოზი მოსავლის შესახებ? ამ და სხვა კითხვებზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი ჯემალ გელაშვილი გვპასუხობს:

- დიახ, ალოობა-2017 კარს მოგვადგა და 18-20 ივლისს მოსავლის აღებაც დაიწყება. წელს თავთავიანები ხაშურის მუნიციპალიტეტში სულ 4072 ჰექტარზე იყო დათესილი. აქედან, ხორბალს - 2730 ჰექტარი ეჭირა, ქერს - 600 ჰექტარი, შვრიას კი - 742 ჰექტარი. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგან მკაცრი ზამთრის გამო, საშემოდგომო ნათესები ამ კულტურებისათვის დამახასიათებელ ზრდა-განვითარების სტანდარტს ჩამორჩა და ფერმერები იძულებულნი გახდნენ, დაახლოებით 200 ჰექტარი გაზაფხულზე გადაეთესათ. ეს, ძირითადად, ნაბახტევის, წაღვლის და ფლევის ზონებში მოხდა. დღეისთვის ე.წ. დაბალ ზონებში ქერი უკვე მომწიფებულია და პირველ ეტაპზე სწორედ მისი აღება დაიწყება. დაახლოებით, 25 რიცხვიდან კი ხორბლის დრო დადგება.

ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულების ინფორმაციით, მექანიზაციის ადგილობრივი რესურსი - 11 კომბაინი მზადაა მოსავლის ასაღებად. რა თქმა უნდა, ეს არაა საკმარისი რაოდენობა. ამიტომ ჩვენ შემუშავებული გვაქვს გეგმა-გრაფიკი, ფერმერების მოთხოვნების შესაბამისად და შპს „მექანიზატორის" ადმინისტრაციას უკვე გავუგზავნეთ მოთხოვნა. ისინიც მზად არიან, ალოობის პერიოდში, 12 კომბაინი გამოგზავნონ. ჩვენი პრაქტიკიდან გამომდინარე, მექანიზაციის ეს რაოდენობა სრულიად საკმარისი იქნება, რომ „ალოობა - 2017" წარმატებით დავასრულოთ.

რაც შეეხება წინასწარ პროგნოზს, ჩვენ ჩავატარეთ კვლევები და ასეთ სურათს ველოდებით: ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, სამწუხაროდ, გასული წლის შედეგებს ალბათ ვერ შევწვდებით, როდესაც ხორბლის საშუალო მოსავლიანობა 4 ტონა იყო. მაგრამ 3,5 ტონაზე ალბათ, უნდა გავიდეთ. ქერი კი 2 ტონა იქნება.

იმედია, ფერმერების მთელი წლის შრომა დაფასდება და „ალოობა-2017" წარმატებულად ჩაივლის.

სამუსიკო სკოლაში კლასიკური მუსიკის პირველი ფესტივალი გაიმართა

ამ დღეებში, ხაშურის სამუსიკო სკოლაში, კლასიკური მუსიკის I ფესტივალის „რეგიონის ხელოვანების" გალა-კონცერტი გაიმართა.

კონცერტში, ხაშურის, სურამისა და ქვიშხეთის სამუსიკო სკოლების საუკეთესო მოსწავლეები მონაწილეობდნენ და მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამით წარსდგნენ მსმენელის წინაშე.

გაიმართა დაჯილდოების ცერემონიაც; მუსიკალური სკოლების წარმატებულ პედაგოგებს და მოსწავლეებს, სპეციალური დიპლომები გადასცეს, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსმა კონსტანტინე ფრუიძემ, სამუსიკო სკოლების გაერთიანების ხელმძღვანელმა ლალი რუხაძემ და ფესტივალის ორგანიზატორებმა: ფატი სადაღაშვილმა და მაია მურადაშვილმა.

კონცერტის დასასრულს აღინიშნა, რომ კონკურს-ფესტივალი მომავალ წელსაც ჩატარდება და უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს.

ჩვენი სამუსიკო სკოლის აღზრდილებს მრავალჯერ უსახელებიათ თავი სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებზე თუ ფესტივალებზე. ეს „საშინაო" ფესტივალი კი კიდევ ერთი მძლავრი ბიძგი იქნება მათი დაოსტატების გზაზე.

ფოლკლორული ფესტივალი სურამში

ღღესასწაული, რომელიც მუდამ ჩვენთან არის

(დასასრული)

–დღეს საკმაოდ კარგი გახსნა იყო ფესტივალის, დაგეგმილი კონცერტი, რომელიც 6 საათზე დაიწყო, ტრადიციულად, ადგილობრივი ფოლკლორული ჯგუფების გამოსვლით გაიხსნა. წელს სიახლე გვაქვს ის, რომ გვყავს ახალი ჯგუფები. რაც შეეხება სურამს, როგორც გასულ წლებში, აქცენტი გავაკეთეთ ადგილობრივ, ფოლკლორულ

ჯგუფებზე, იქნებიან "შავფაროსნები", ნაკლებად ცნობილი ჯგუფი "Asea sool" და დასკვნით ნაწილში გამოვა ჯგუფი "რეგიონი". რომ არა გამართლება, მესამე წელია არ ჩატარდებოდა სურამში ეს ფესტივალი, დაინტერესება დიდია მოსახლეობის, დამსვენებლების, ყველა ასაკის და კატეგორიის ადამიანების. აქ მოსულებს შეუძლიათ ლელობურთი ითამაშონ, ნარდი, მკლავჭიდი, რაგბი, შეიძინონ ხელითნაკეთი ნივთები, მოისმინოს ცოცხალი მუსიკა, დამეთანხმებით, ასეთ შესაძლებლობებს ხშირად, მოკლებულნი ვართ.

ანზორ გონგლაძე (ხეზე მკვეთი):

–ბავშვობიდან ვმუშაობ ხეზე, თუმცა ეს ჩემი ძირითადი საქმიანობა არაა. ყველაფერს ვაკეთებ, ხის დეკორატიულ თუ საყოფაცხოვრებო ნივთებს. წლევანდელ ფესტივალშიც პირველად ვიღებ მონაწილეობას. მცირე რაოდენობის ნამუშევრები გამოვიტანე, რადგან ძირითადად, გაჩუქებული მაქვს, თუმცა, დამთვალიერებელს, მაინც შეექმნება წარმოდგენა ჩემს ნამუშევრებზე. ძალიან მომწონს ასეთი სახალხო ღონისძიებები, ერთია, რომ ჩვენს ტრადიციებს უნდა გავუფრთხილდეთ, შემოვინახოთ და მეორე, არ დაიკარგოს ის ურთიერთობები, რომლებიც გვაერთიანებს ქართველებს. ეს ფესტივალიც, ამის დასტური და გამოძახილია.

ქრისტინე კუჭაძე (არტ-გენის მონაწილე):

–წელს,ჩემთვისაც პირველი წელია არტ-გენზე მონაწილეობის, აქამდე ვფიქრობდი, რომ ჯერ მზად არ ვიყავი,იმ რაოდენობის ნამუშევრები არ მქონდა,რომ გამოტანაზე და გამოფენა-გაყიდვაზე მეფიქრა. ძირითადი ნაწილი აქსესუარებია, რომელსაც ჩემი ფანტაზიით ვქმნი და ვფიქრობ, ქალბატონებისთვის საკმაოდ საინტერესოა. რაც შეეხება წლევანდელ ფესტივალს, არ შემიძლია სიხარულით არ აღვნიშნო ჩემი თანატოლების განსაკუთრებული აქტიურობა და დაინტერესება ჩვენი, ქართული ფოლკლორის, რეწვისა და ტრადიციული საქმიანობების მიმართ, რაც ვფიქრობ, მთავარი მიზანი და მისიაა არტ-გენის.

ფესტივალის რეგიონული ტურნე 17-24 ივლისს, ტრადიციულად, ეთნოგრაფიულ მუზეუმში გაიმართება.

D

იყიდება

ორსართულიანი სახლი „ემტეესის" დასახლებაში, სანაპიროს ქ. №115, ხეხილიანი 7 მეასედი ეზოთი, ბუნებრივი აირით, ეზოში არის ჭა.

ფასი 11500$ ტელ: 555 69 08 53

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.